2021 წლიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. ვარ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და სარევიზიო კომისიების წევრი, ამასთანავე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს საქმიანობა:

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 14 საკრებულოს სხდომა, მათგან დავესწარი - 13-ს.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს სხდომებზე განვიხილეთ - 113 დადგენილება და 675 განკარგულება.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი 13 უმრავლესობის სხდომა, რომლებზეც განვიხილეთ 27 საკითხი;

საანგარიშო პერიოდში 2023 წლის 1 ოქტომბრიდან მ/წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 18 სხდომას დავესწარი, სადაც განვიხილეთ 319 საკითხი.

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2023 წლის 1 ოქტომბრიდან მ/წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა 19 სხდომა .

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 379 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 372 ცვლილება (დადებითი 363, გადაიდო 9).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 215 (214 დადებითი, 1 გადადებული (დაუბრუნდა მერიას ხელახალი ინიცირებისთვის))

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 56 პროექტი

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 15 პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 10 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 83 დადგენილების სხვადასხვა პროექტი

კომისიის სამდივნოში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას (არქიტექტურული/ ურბანული საკითხები, შიდა კვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მოქალაქეთა საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე). საანგარიშო პერიოდში კომისიის სამდივნოში სულ შემოსული/განხილულია 103 წერილი/ განცხადება.

სარევიზიო კომისია

№3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, დამტკიცებული გეგმა მოიცავს 14 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის სსიპ-ების, ააიპ - ების და შპს - ების შემოწმება შერჩევითი მეთოდით.
შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება კომისიის სხდომაზე.
სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.
სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 10 ორგანიზაცია.
6 ორგანიზაციაში შემოწმების შედეგად, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები და განხილული იქნა სარევიზიო კომისიის სხდომაზე.
4 ორგანიზაცია ამ დროისთვის იმყოფება შემოწმება/განხილვის ეტაპზე;
შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

მაჟორიტარული საქმიანობა, რომელიც თავის მხრივ იყოფა 5 ნაწილად:

1. **მოქალაქეთა მიღება;**
2. **გასვლითი შეხვედრა მოსახლეობასთან;**
3. **წარმომადგენლობის ფუნქციონირება;**
4. **სოციალური ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;**
5. **რაიონის განვითარებაზე ზრუნვა;**

მოქალაქეთა მიღება

- საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეულად ვატარებდი მოქალაქეთა მიღებას ჩემს წარმომადგენლობაში - ორ მისამართზე;
- სულ ჩატარდა 50 მოქალაქეთა მიღება;
- ინდივიდუალურად შევხვდი 1200-მდე მოქალაქეს;

გასვლითი შეხვედრები

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ჩავატარე 80-მდე გასვლითი შეხვედრა სხვადასხვა ლოკაციაზე. დაისახა გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის გზები;

შეხვედრები შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს:

- ინფრასტრუქტურულს
- კეთილმოწყობას;

- სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას და ა. შ.

წარმომადგენლობის ფუნქციონირება

ჩემი წარმომადგენლობები ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს: ი. ვეკუას ქ. N16ა და ილორის ქ. N10

ჩემს წარმომადგენლობას ყოველდღიურად სტუმრობს ათეულობით მოქალაქე და ეწევათ შესაბამისი კონსულტაცია/ დახმარება;

ღონისძიებები

სისხლის უანგარო დონაცია

სისსაქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციასთან თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში 2-ჯერ ჩავატარეთ სისხლის უანგარო დონაციის აქცია;

100-მდე ადამიანმა უანგაროდ გაიღო სისხლი.

დასუფთავების აქციები

10 მისამართზე ჩავატარეთ დასუფთავების აქცია; დასუფთავების აქციებში მონაწილეობას იღებდნენ მოხალისეები, თბილსერვისის თანამშრომლები და საჭიროების შემთხვევაში სპეც. ტექნიკა

გამწვანების აქციები

დედაქალაქის მერიასთან თანამშრომლობით გლდანის რაიონში სხვადასხვა ლოკაციებზე ჩავატარეთ გამწვანების აქცია. მათ შორის ჩატარდა საჯარო სკოლებში, სადაც ხე-მცენარეების დარგვაში მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

უფასო სტომატოლოგიური აქციები

ნიუ ვიჟენ - Health hub-თან თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 1 უფასო სტომატოლოგიური აქცია;

უფასო სამედიცინო აქციები

სოციალური აქციის ფარგლებში გლდანის რაიონში მცხოვრებმა ასობით სოც. დაუცველმა და შშმპ მოქალაქემ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მედი-group - თან თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 3 უფასო სამედიცინო აქცია;აქციის ფარგლებში გლდანის რაიონში მცხოვრებმა ასობით სოც. დაუცველმა და შშმპ მოქალაქემ მიიღო უფასო სამედიცინო მომსახურება;

- ექიმთან კონსულტაცია;
- ლაბორატორიული კვლევა;
- ინსტრუმენტული კვლევა;მიიღო უფასო სტომატოლოგიური მომსახურება;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვესტუმრეთ გლდანის რაიონში არსებულ ბავშვთა სახლებს და დედათა და შვილთა თავშესაფრებს;

თავშესაფრებში და ბავშვთა სახლებში ბენეფიციარებისთვის სათამაშოები, ტკბილეული და საჭირო პირადი ჰიგიენის საშუალებები მივიტანეთ

შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან

საანგარიშო პერიოდში ვესტუმრე გლდანის რაიონში არსებულ კერძო და საჯარო სკოლებს.

მცირე სემინარი წარვადგინე თვითმმართველობის მუშაობასთან დაკავშირებით და თვითმმართველობის მუშაობაში მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ, რაც ინტერაქციულ რეჟიმში გრძელდებოდა.საინტერესოდ გაგვაოცა სკოლის მოსწავლეთა მაღალმა დაინტერესებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ შესრულებული სამუშაოები

- ინფრასტრუქტურა;

- კეთილმოწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
- სპორტი და კულტურა.

გლდანის რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 290 000,00 ლარი. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 50458,0 კვ.მ ასფალტის საფარს, მოეწყო 2905 კვ.მ ბეტონის გზა, აღდგენილ იქნა 1249,7 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, 13 ობიექტის გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისთვის მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სულ გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯმა ჯამურად შეადგფუნა 5 500 000,00 ლარი.

მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 30860,73 კვ. მეტრ ასფალტის საფარს და მოიხრეშა 28395,0 კვ.მ გზის საფარი. 44 ობიექტის ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოებისთვის მომზადდა დეფექტური აქტები, სულ გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯმა ჯამურად შეადგინა 1 790 000 ლარი.

კაპიტალურად კეთილმოეწყო 20 მისამართი:

- მუხიანი 2, გამარჯვების მეორე ჩიხი
- ვასაძე - ხიზანიშვილის ქუჩების კვეთა
- გლდანის მე-5 მ/რ მწვანე ქ. N1
- მაისურაძის მესამე შესახვევი და გასასვლელი
- მაისურაძის ჩიხები (პატარა ტბასთან)
- სოფ. გლდანი, ჩოლოყაშვილის ქ. 1-ეტაპი
- სოფ. გლდანი, ყაზბეგის ქ.
- ავჭალა 2, სვანეთის ქუჩის მონაკვეთი N1-9
- სოფ. გლდანი, სააკაძის ქ.
- სოფ. გლდანი, სააკაძის ქ. ბოლო ეტაპი
- სოფ. გლდანი, ფიროსმანის ქ.
- გლდანი, ბარბარე ჯორჯაძე-ერისთავის ქ.

- მუხიანი-2, ტაძრის ქ.
- მუხიანი-2, ვარდისუბნის ქ. (ხანძთიდან- შოვამდე)
- გლდანი, ზ.ბერიაშვილის ქუჩა და 1 ჩიხი
- ავჭალა, სანდრო ჟორჟოლიანის ქ.
- გიორგიწმინდა, 9 აპრილის ქ.
- კულა გლდანელის ქ. 22ა მიმდებარედ
- გიორგიწმინდა, რუსთაველის ქ.
- გლდანი, ფიროსმანის ქ.

კეთილმოწყობა

რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიების ფარგლებში - საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 5 520 667.75 ლარი, აქედან:

- რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურებაზე დაიხარჯა 251399.44 ლარი, დამუშავდა 1676 ძირი ხე-მცენარე;
- გამწვანებული ტერიტორიების და მცენარეების მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა 301226,44 ლრი, ხოლო გამწვანებული და დასასვენებელ ტერიტორიებზე სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურებაზე დაიხარჯა - 3827,51ლარი;
- არსებულ სკვერებში საბაღე ინვენტარის და საბავშვო/სათამაშო ატრაქციონების შეკეთებაზე დაიხარჯა 65 584,43 ლარი, შეკეთდა 41 ობიექტი;
- სხვადასხვა მისამართზე დაიდგა 60 ახალი საბაღე სკამი, რაზეც დაიხარჯა 35347,44 ლარი;
- 4 მისამართზე დაიდგა 4 ახალი დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური), რაზეც დაიხარჯა 39 370,69 ლარი;

- დასრულდა ერთი ახალი სკვერის მოწყობა და მიმდინარეობს ახალი 6 სკვერის მოწყობის სამუშაოები, რაზეც საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 2 679 575,48 ლარი;

- სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზე დაიხარჯა 373 867,85 ლარი, შეკეთდა 19 სპორტული მოედანი;

- მრავალსართულიანი (9 სართ.) საცხოვრებელი კორპუსის ავარიული ელემენტების გამაგრება-რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 80 706,82 ლარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 საცხოვრებელი სახლის 5 ავარიულ აივანს, მიმდინარეობს 3 ობიექტზე 15 აივნის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები;

- კანალიზაციის სისტემების მიმდინარე შეკეთებაზე დაიხარჯა 110830,33 ლარი, 7 ობიექტზე შეკეთდა 440,9 გ/მ კანალიზაციის ქსელი, ხოლო 13 ობიექტზე ჩატარდა ქსელის გაწმენდის სამუშაოები;

- კანალიზაციის ახალი ქსელების მოწყობაზე დაიხარჯა 1 171 774,74 ლარი, 5 ობიექტზე მოეწყო 1987,3 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი;

- კიბეების, ბილიკების და საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 74 043,25 ლარი, 5 ობიექტზე მოეწყო საყრდენი კედელი- 7,1მ3, ერთ ობიექტზე მოეწყო კიბე-ბილიკი 45,02 გრძ.მ;

- 4 მისამართზე შშმ პირების გადასაადგილებლად საჭირო ელექტრო პანდუსების ეწყობა. 2 ჰორიზონტალური დახრილკუთხოვანი და 2 ვერტიკალური პანდუსი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სარაჯიშვილის ქ. N15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული ფასადის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა, რაზეც დახარჯულია 98 225 ლარი;

გლდანის რაიონში სკვერი მოეწყო 7 მისამართზე:

- გლდანის 1 მ/რ, კორპ. 19-19ა-ის მიმდებარედ.
- გლდანის 1 მ/რ, კორპ. 17-18-20-ის მიმდებარედ.
- გლდანის ა მ/რ, კორპ. 55-58-ის მიმდებარედ.
- ალექსანდრე მანაგაძის 4 ჩიხი.
- ლ. ლაგურაშვილის ქ. N3-5-თან.

- ზაჰესი, შოთაძის ქ. II შეს.
- გლდანის 3 მ/რ, კორპ. 9-ის მიმდებარედ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

გლდანის რაიონში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, 2024 წელს საკასო ხარჯის მოცულობამ შეადგინა - 4 444 999,35 ლარი.

მათ შორის:

- 58 მისამართზე ჩატარდა 37 705,60 კვ.მ. სახურავის და 36 მისამართზე- 4 430,2 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა შესაბამისად 1 134 886,89 ლარი და 74 578,03 ლარი;
- 33 მისამართზე ჩატარდა ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები, რისთვისაც დაიხარჯა 1 561 833,28 ლარი;
- 33 მისამართზე განხორციელდა შიდა წყალკანალიზაციის ქსელის შეკეთება (6 044,95

გრძ.მ), რისთვისაც დაიხარჯა - 1 087 789,27 ლარი;

- 10 მისამართზე დამონტაჟდა სადარბაზოს შესასვლელის ლითონის კარებები 29 ცალი, 82,05 კვ.მ, ღირებულებით 36 769,35 ლარი;
- ერთ მისამართზე პანელოვანი შენობების სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციაზე (მობათქაშება) დაიხარჯა 286 284,43 ლარი, ერთ მისამართზე შეივსო და მობათქაშდა 24 659 გრძ.მ ნაპრალი;
- 3 მისამართზე შეკეთდა საერთო სარგებლობის სადარბაზოს კიბეები (3487,63 კვ.მ) თანხით 207 061,88 ლარი;
- 6 მისამართზე შეკეთდა სადარბაზოს შესასვლელის გადახურვები, რაზეც გაიხარჯა 34 096,22 ლარი, შეკეთდა 157,87 კვმ.

სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში

2024 წლის 9 თვის მონაცემებით სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 1711009,77 ლარი,

მათ შორის:

- შემოსული განცხადებების საფუძველზე სამედიცინო მომსახურეობის ღირებულება დაუფინანსდა 2348 მოქალაქეს 676 647,24 ლარით;
- მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები დაუფინანსდა 3195 მოქალაქეს ღირებულებით 452 213,20 ლარი;
- 180 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია 65 059,33 ლარის სარიტუალო მომსახურება;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია მატერიალურად შეჭირვებულ 1623 ოჯახს საერთო თანხით 425 790,00 ლარი;
- 73 600,00 ლარის საწვავი შეშა დაურიგდა 230 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს;
- სტიქიის (ძლიერი წვიმა) და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება საერთო თანხით 17 700,00 ლარი;

სპორტი და კულტურა

- გლდანის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „რა? სად?

როდის?“ რისთვსაც დაიხარჯა 4 615,00 ლარი, ამ ღონისძიების ფარგლებში გამარჯვებული გუნდების წევრები დაჯილდოვდნენ 3791,28 ლარის ღირებულების წიგნებით.

- სპორტული ღონისძიებების („რაგბის ფესტივალი - 2024“, „გლდანის თასი ქუჩის კალათბურთში - 2024“, „გლდანის თასი მინი ფეხბურთში - 2024“,) ჩატარებაზე საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 34 656,60 ლარი;

- საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის ჩატარდა ლიტერატურული კონკურსის “ლექსი თვითონ მწერს“, რაზეც საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 8 606,92 ლარი;

- გამგეობის ორგანიზებით, გლდანის რაიონის საჯარო სკოლის უფროსკლასელტათვის მოეწყო სპორტულ - ინტელექტუალური თამაში თემაზე - „გააცოცხლე საქართველოს ისტორია“, რაზეც საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 33 499,86 ლარი;

- სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ჩატარდა კულტურული ღონისძიება (კონცერტი), რაზეც დაიხარჯა 24 049,62 ლარი, ხოლო საბავშვო-გასართობ ღონისძიებაზე დაიხარჯა 10950,0 ლარი.